11

Alltag 6: Ehescheidungen in den deutschen Kolonien



1



2



3



4



5



6



7

Kirchliche Nachrichten.

a) Tiflis.

Aufgeboten: Zum zweiten- und drittenmal: Jakob Kaminsky, Hebräer, mit Repsine Abianz, lather., geschieden; zum drittenmal: Woldemar Schlez mit Warwara Iwanowa, orthod.; Joseph Coborowsky mit Udsja Lanzmann, Hebräerin; Johann Akunoff mit Elisabeth Klemens.
Gestorben: Frau Elisabeth Belaj, geb. von Hahn, 64 Jahre alt.

8

Kirchliche Nachrichten.

a) Tiflis.

Aufgeboten: Zum zweiten- und drittenmal: der belgische Konsul August Deibel mit der Witwe Emilie Lenz, geb. Kottrini; zum zweitenmal: der Kaufmann Gwad Jankowsky, geschieden, mit der geschiedenen Fr. Therese Börk, geb. Lang; zum erstenmal: Jan Berberiß mit Luise Lomp; Ernst Palm mit Sophie Müller; Immanuel Reifschneider mit Anna Otto.

9

Im Allgemeinen waren Scheidungen laut Kirchenordnung grundsätzlich verboten. Aber schon bald finden sich zahlreiche Scheidungsgesuche in den Protokollen der Kirchenkonvente. Ausnahmen wurden zunächst nur unter bestimmten Voraussetzungen gemacht, wenn z.B. einer der Ehepartner einen Ehebruch begangen hatte, Misshandlungen stattgefunden hatten, der Ehemann oder die Ehefrau mutwillig verlassen worden war, was zunächst zu Vermittlungsversuchen Dritter in der Kirchengemeinde führte. Schlugen diese fehl, konnte die Scheidung ausgesprochen werden.

Der Fall des Ehepaars Aichholz (1851, Elisabethtal)

Nach Angabe von Gottlieb Aichholz hatte ihn seine Ehefrau, deren Vorname nicht genannt wird, während seiner sehr schweren Krankheit im August 1851 verlassen, sich zwei Tage in georgischen Dörfern „herumgetrieben“, und war schließlich nach Tbilisi gegangen. Mehr als sechs Wochen später kehrte sie zu ihrem Mann, der sich von fremden Leuten hatte pflegen lassen müssen, zurück. Gottlieb Aichholz weigerte sich jedoch, seine Frau wieder bei sich aufzunehmen, da sie ihn nicht gepflegt hatte.

Frau Aichholz trat daraufhin vor den Kirchenkonvent, zeigte ihren Mann wegen früher begangener Misshandlungen an und gab an, dass sie ihn deshalb verlassen hatte. Das Schulzenamt holte daraufhin erneut eine Erklärung des Ehemannes ein. Beide Eheleute mussten mehrmals vor dem Kirchenkonvent aussagen. Die Untersuchungen führten jedoch nicht zu einer Einigung, die ein Zusammenleben der Eheleute wieder ermöglicht hätte. Es wurde zudem angemerkt, dass Frau Aichholz im Falle einer Misshandlung unmittelbar dazu verpflichtet gewesen war, sich direkt an das Schulzenamt zu wenden. Es wird nicht geklärt, warum sie das nicht getan hatte. Schließlich wurde dieser Fall an den Oberpastor der deutschen Kolonien überstellt, später der zivilen Oberverwaltung. 1-2

Der Fall des Ehepaars Dautel (1834, Marienfeld)

Eva Rosina Dautel wünschte die Scheidung aufgrund eines angeblichen Ehebruchs ihres Gatten Georg. Dies belegt 1834 das Verteidigungsschreiben des Kolonisten Georg Dautel, wohnhaft in Marienfeld.

Georg Dautel wurde vor der Synode von seiner Frau beschuldigt, sie mit seiner Schwägerin, Barbara Schneider, betrogen zu haben. Georg Dautel erwiderte daraufhin, dass seine Schwägerin lediglich zu ihm gekommen wäre, um die Pflichten seiner eigenen Frau zu erfüllen, indem sie Georgs völlig verwahrlosten Haushalt wieder in Ordnung gebracht hätte.
Für ihre Aussage musste Barbara Schneider nach Tiflis fahren, Georg Dautel sollte für ihre Fahrtkosten aufkommen. Zudem war nun die zivile Oberverwaltung in das Scheidungsverfahren einbezogen, die ihn anwies, fortan bis zum Abschluss des Verfahrens seiner Ehefrau und seinen Kindern Geld für deren Lebensunterhalt zu zahlen. Dautel protestierte unter Verweis auf seine durch seine Frau verursachte schwierige finanzielle Lage und erklärte, dass er für seine Kinder aufkommen könne, wenn sie bei ihm lebten. Seiner Ehefrau verweigerte er jedoch den Unterhalt. Laut seiner Aussage hatte sie sich viermal von ihm getrennt, war ihm untreu gewesen und war durch faules und lautes Verhalten, Trunkenheit und Verschwendungssucht aufgefallen. Gleichfalls beschwerte sich Dautel über den respektlosen, nicht geahndeten, ihn stark belastenden Umgang zahlreicher Gemeindemitglieder ihm gegenüber.

Georg Dautel sollte obendrein noch Geld an die Synode zahlen, da sein Fall viel Zeit in Anspruch genommen hatte. Er beklagte, dass auch er einen großen Schaden erlitten habe, da er wegen der Verhandlungen sieben Tage lang nicht arbeiten konnte. Dieser Fall zog sich bis zur offiziellen Scheidung im Jahre 1835 hin. 3-7

Geschiedene Personen fanden im Laufe der Zeit mehr gesellschaftliche Akzeptanz und konnten in der protestantischen Kirche erneut heiraten. Zu Beginn des 20. Jahrhunderts finden sich in der Kaukasischen Post in der Rubrik „Kirchliche Nachrichten“ zahlreiche geschiedene Personen, deren Aufgebot verkündet und deren kirchliche Hochzeit in der jeweiligen protestantischen Kirchengemeinde bevorstand. 8, 9

ყოველდღიური ცხოვრება 6: განქორწინება გერმანულ კოლონიებში

ზოგადად, საეკლესიო განაწესის თანახმად, გერმანულ თემებში განქორწინება აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, განქორწინების ბევრი მოთხოვნაა დაფიქსირებული საეკლესიო საბჭოს (კონვენტის) ოქმებში. თავდაპირველად, გამონაკლისების დაშვება მხოლოდ გარკვეულ ვითარებებში იყო დაშვებული, მაგალითად, თუ ერთ-ერთი მეუღლე იმრუშებდა, ანდა ადგილი ექნებოდა ძალადობას ან თუკი მეუღლე ქმარს ან ცოლს მიატოვებდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საეკლესიო თემი შუამავლობას კისრულობდა და მხარეთა შერიგებას ცდილობდა. თუკი ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ უკვე შესაძლებელი ხდებოდა განქორწინების ნებართვის მიღება.

აიხჰოლცის წყვილის საქმე (1851, ელიზაბეტთალი)

გოტლიბ აიხჰოლცის თქმით, 1851 წლის აგვისტოში, როდესაც თავად გოტლიბი მძიმედ იყო ავად, მისმა მეუღლემ, რომლის სახელი მოცემულ არ არის, ის მიატოვა. ცოლმა ორი დღე ქართულ სოფლებში „გაატარა“ და ბოლოს თბილისში ჩავიდა. ექვსი კვირის შემდეგ ცოლი დაუბრუნდა ქმარს, რომელსაც შუალედში უცხო ადამიანები უვლიდნენ. გოტლიბ აიხჰოლცმა უარი განაცხადა მეუღლის მიღებაზე, რადგან ცოლმა მას არ მოუარა.

ამის შემდეგ საეკლესიო საბჭოს (კონვენტის) წინაშე წარსდგა ქალბატონი აიხჰოლცი, რომელმაც ქმარი ძალადობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სწორედ ეს იყო მიტოვების მიზეზი. სოფლის მამასახლისმა გოტლიბ აიხჰოლცი დამატებით გამოკითხვაზე დაიბარა. საბოლოო ჯამში, ორივე მეუღლეს რამდენჯერმე მოუწია საეკლესიო საბჭოს წინაშე ჩვენების მიცემა. თუმცა, გამოძიება ვერ შეთანხმდა თუ რამდენად იყო შესაძლებელი ამ წყვილის შემდგომი თანაცხოვრება. ასევე აღინიშნა, რომ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში ქალბატონი აიხჰოლცი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მიემართა სოფლის მამასახლისისთვის, და გაუგებარია, თუ რატომ არ გააკეთა ეს მან. საბოლოოდ, ეს საქმე განსახილველად გადაეცა გერმანული კოლო-ნიების ობერპასტორს, მოგვიანებით კი სამოქალაქო ადმინისტრაციას. 1-2

დაუტელის წყვილის საქმე (1834, მარიენფელდი)

მეუღლის, გეორგის, სავარაუდო ღალატის გამო, ევა როზინა დაუტელმა განქორწინება მოითხოვა. ამას მოწმობს 1834 წელს მარიენფელდში მცხოვრები კოლონისტის, გეორგ დაუტელის შესაგებელი წერილი.

ევა როზინამ სინოდის წინაშე მისი მეუღლე, გეორგ დაუტელი, რძალთან, ბარბარა შნაიდერთან ღალატში დაადანაშაულა, რაზეც გეორგ დაუტელმა მიუგო, რომ მისი რძალი მასთან საკუთრივ ევა როზინას საქმის შესასრულებლად მოვიდა, რათა გეორ-გის სრულიად დაულაგებელი სახლი წესრიგში მოეყვანა.

ჩვენების მისაცემად ბარბარა შნაიდერს თბილისში გამგზავრება მოუწია, ხოლო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება გეორგ დაუტელს დაეკისრა. ამის გარდა, ვინა-იდან განქორწინების საქმის განხილვაში სამოქალაქო უმაღლესი ადმინისტრაცია ჩაერთო, გეორგს ასევე დაევალა გამოძიების დასრულებამდე ცოლ-შვილისთვის ცხოვრებისთვის საჭირო თანხების გადახდა. წერილში დაუტელმა გააპროტესტა ცოლის საქციელის გამო მასზე დაკისრებული მძიმე ფინანსური ვალდებულებები და განმა-რტა, რომ მას შეეძლო შვილების რჩენა, თუკი ისინი მასთან იცხოვრებდნენ. თუმცა, მან ცოლის რჩენაზე უარი განაცხადა. გეორგის თქმით, მისმა ცოლმა ის ოთხჯერ მიატოვა, მას ღალატობდა და საერთოდაც იყო ზარმაცი და გამოირჩეოდა უწესრიგო ქცევით, ლოთობითა და მფლანგველობით. დაუტელმა ასევე დაიჩივლა თემის მრავალი წევრის მხრიდან მის მიმართ უპატივცემულო, დაუმსახურებელ და დამთრგუნველ მოპყრობაზე.

გეორგ დაუტელს დამატებითად გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა სინოდისთვი-საც, რადგან მისი საქმის განხილვას დიდი დრო დასჭირდა. გეორგი ჩიოდა, რომ მას დიდი ზარალი მიადგა, რადგან განხილვების გამო, შვიდი დღის განამვლობაში მუშა-ობის შესაძლებლობა არ მიეცა. ეს საქმე გაგრძელდა 1835 წლამდე და ოფიციალური განქორწინებით დასრულდა. 3-7

დროთა განმავლობაში, განქორწინებულებმა მეტი სოციალური თანადგომა მოიპოვეს და მათ პროტესტანტულ ეკლესიაში ხელახლა დაქორწინების შესაძლებ-ლობა მიეცათ. მე-20 საუკუნის დასაწყისში გაზეთში „Kaukasischen Post“, „საეკლესიო ამბების“ განყოფილებაში, მოცემულია ბევრი განცხადება განქორწინებულთა ხელახალი დანიშვნისა და პროტესტანტულ საეკლესიო ქორწილებთან დაკავშირებით. 8, 9

1–2 **Scheidungsangelegenheit Ehepaar Aichholz**
Nationalarchive Georgiens, Fonds N1728.1.10, Blatt 170–171.
აიხჰოლცის წყვილის განქორწინების საქმე
საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი N1728.1.10, ფურცელი 170–171.
https://archival-services.gov.ge/germanelebi/get_picture/1476666 (28.11.2024).

3–7 **Scheidungsangelegenheit Ehepaar Dautel**
Nationalarchive Georgiens, Fonds N1728.1.6, Blatt 7–11.
დაუტელის წყვილის განქორწინების საქმე
საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი N1728.1.6, ფურცელი 7–11.
https://archival-services.gov.ge/germanelebi/get_picture/1476116 (28.11.2024)

8 Kaukasische Post 1913, N19, S./გვ. 17.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/115153/1/Kaukasische_Post_1913_N19.pdf (28.11.2024)

9 Kaukasische Post 1913, N40, S./გვ.16.
https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/115231/1/Kaukasische_Post_1913_N40.pdf (28.11.2024)

Everyday Life 6: Divorces in the German Colonies

In general, divorces were forbidden according to church regulations. An exception was only made under certain circumstances. One of the spouses had to have committed adultery, which then led to various attempts at mediation and finally the synod had to decide on the divorce petition. In other cases, wives or husbands left their partner or were mistreated by them. Later, more and more people got a divorce and could even get married again in the local protestant church.

Die Beauftragte der Bundesregierung für Kultur und Medien
Universität Siegen
National Archives of Georgia
Verein zur Bewahrung deutschen Kulturguts im Südkaukasus
Global Entanglements